ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 5

ქ. ლანჩხუთი **24.06.2025**
12:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.
კომისიის წევრები: კარლო კვიტაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, ვლადიმერ ნანაძე, ალექსანდრე მახათაძე, ირმა მგელაძე, გიორგი იმნაიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: გივი ცინცაძე, გოჩა ჯანაშია.

კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/
ვარდენ კვაჭაძე

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 7; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მიზანშეწონილად მიიჩნევს - დაკმაყოფილდეს პარლამენტის წევრის, ვასილ ჩიგოგიძის 2025 წლის 16 მაისის N 2414/3-52/25 მომართვაში

დასმული მოთხოვნა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში მერაბ კოსტავას ქუჩა N37- ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა - ნაგებობების მესამე სართულზე არსებული 2 ოთახი, საერთო ფართით - 33,96 კვ .მ. (ს /კ 27.06.52.114)) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, (საქართველოს მეთერთმეტე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით), სარგებლობის უფლებით გადაეცეს პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროს, რათა დაწესებულებამ შეძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

დეპუტატმა ირმა მგელაძემ წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ვინაიდან თვლის, რომ დეპუტატის ბიურო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში არ უნდა იყოს განთავსებული, ასევე მათთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს სხვა ალტერნატიული ფართის ქირით უზრუნველყოფა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6 , წინააღმდეგი 1 (ირმა მგელაძე)

სხვადასხვა.

დეპუტატი ირმა მგელაძე დაინტერესდა სოფ.ქვიანში საბავშვო ბაღის ეზოში მდებარე გამხმარი ნაძვის ხეების მოჭრის საკითხით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს ბავშვებისთვის და საფრთხის შემცველია შენობა-ნაგებობისთვის, რაზეც კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ განმარტა, რომ საბავშვო ბაღის სეზონის დასრულებისთანავე აღნიშნული პრობლემა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ აუცილებლად იქნება მოწესრიგებული.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №5

24.06.2025 წელი
12:30 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 24 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/
ვარდენ კვაჭაძე

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი 1 (ირმა მგელაძე).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.06. 2025 წელი
12:30 საათი

	სახელი, გვარი		ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	12:25	
2	ალექსანდრე მახათაძე	12:25	
3	კარლო კვიტაიშვილი	12:25	
4	გიორგი იმნაიშვილი	12:25	
5	ვლადიმერ ნანაძე	12:20	
6	გიორგი ჩახვაძე	12:45	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
8	გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	
9	ირმა მგელაძე	12:20	